

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს  
გადაწყვეტილება №287

(ოქმი №288)

თბილისი

2015 წლის 13 თებერვალი

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის პერიოდის  
განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის,  
საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო  
დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების  
შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის პერიოდის განხორციელებული  
შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და  
სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი  
აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე  
გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად. განცხადება კონკურსის  
გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე  
და გამოქვეყნდეს გაზეთ “24 საათში”.

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია



სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კობრეიძე



ქეთევან მსხილაძე



მარინა მუსხელიშვილი

ნათელა სახოკია



ლელა გაფრინდაშვილი



ალექსანდრე ვახტანგოვი



## განცხადება

### სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2014 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2014 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის ჩატარებაზე.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად, 2015 წლის 20 აპრილამდე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68).

#### მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-, რადიომაუწყებლობის სფეროში,
- აუდიტორულმა კომპანიამ აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად,
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

#### წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2015 წლის 01 მარტამდე 18.00 საათამდე. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

- ა) აუდიტორული კომპანიების წინადადებებს;
- ბ) აუდიტის საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში

მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2015 წლის 07 მარტამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

### საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

- სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს კონსულტანტს ფინანსურ საკითხებში გიორგი ნატროშვილს, მობ. ტელ. 577 777731.

გრიგოლ გოგელია  
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის”  
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

